# ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში

2010 წლის თებერვალში ქეა საერთაშორისომ კავკასიაში 6 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად დაიწყო სამწლიანი პროექტი " ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში ".

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ სამხრეთ კავკასიაში შექმნას გარემო, სადაც მარგინალიზებულ ქალებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში შეეძლებათ დაიცვან საკუთარი უფლებები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ამავდროულად, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაუმჯობესების გზით, პროექტი მიზნად ისახავს სარგებელი მოუტანოს სომხეთის, აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის, საქართველოსა და აფხაზეთის 20-თემში მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ 1500-2000 ქალს .

პროექტი მიზნად ისახავს, რომ :

- პარტნიორმა ორგანიზაციებმა შეიძინონ უნარები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მარგინალიზებული ქალების გასაძლიერებლად, რათა მათ უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები და აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ;

- 1500-2000 ქალმა კონფლიქტით დაზარალებული თემებიდან შეიძინონ უნარები, ადამიანური უსაფრთხოების ძირითადი პრობლემების გასაანალიზებლად და იდეების ჩამოსაყალიბებლად, რაც შექმნის გადაწყვეტილებების მიმღებებთან ეფექტური ადვოკატირების მყარ საფუძველს.

- ჩართულ ქალებისა  და ბენეფიციარების მიღებული გამოცდილება ხელმისაწვდომი გახდეს სხვებისთვისაც და მოხდეს მისი გაზიარება  ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;

- ქეამ და პარტნიორმა ორგანიზაციებმა აქტიურად ითანამშრომლონ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო აქტორებთან  სამხრეთ კავკასიაში 1325/UNSCR 1820-ის ძირითადი მიზნების მისაღწევად ;

პროექტის საქმიანობა მოიცავს სამუშაო შეხვედრებს, რომელიც მორგებულია პარტნიორი ორგანიზაციების საჭიროებებს, საინფორმაციო შეხვედრებს 35 კონფლიქტით დაზარალებულ თემში, ტრენინგებს 20-24 სამიზნე თემში, ძირითადი მონაწილე მხარეებისთვის შესაძლებლობების და  ექსპერტიზის დამატებით განვითარებას, ადგილობრივი თემებისს მობილიზაციას/ადვოკატირების ინიციატივებს, რომელთა მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა, ურთიერთობას მედიასთან ქალთა უფლებებსა და კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის გენდერულ მიმართებასთან  საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად.  პროექტი ასევე ითვალისწინებს ანგარიშის გამოცემას, რომელიც შეაფასებს, რამდენად ხდება UNSCR 1325 და UNSCR 1820 -ის მიზნების რეალიზაცია სამხრეთ კავკასიაში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის (დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, ეწვიოთ http://ec.europa.eu/world/) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა და თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან (ADC) მიერ.

პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს  1.319.988 ევროს.

Austrian
Development Cooperation